ვინც ვარსკვლავებზე ცოდნა შეიძინა, მან ჯადოქრობის ერთ-ერთი მიმართულება ისწავლა, და რაც უფრო მეტს სწავლობს, მით უფრო [იზრდება მისი ცოდვა ან ცოდნა ჯადოქრობის სფეროში]

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შვამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც ვარსკვლავებზე ცოდნა შეიძინა, მან ჯადოქრობის ერთ-ერთი მიმართულება ისწავლა, და რაც უფრო მეტს სწავლობს, მით უფრო [იზრდება მისი ცოდვა ან ცოდნა ჯადოქრობის სფეროში]».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ვინც სწავლობს და იღებს ცოდნას ვარსკვლავებიდან და ზოდიაქოს ნიშნებიდან, მათ მოქმედებებზე დაკვირვებით, მათი გამოჩენით და გაქრობით დიდამიწაზე მომხდარი ამბების შესაბამისად, პიროვნების სიკვდილი, სიცოცხლე, თუ ავადმყოფობა და მსგავს ამბებზე, რაც მოხდება მომავალში. ჭეშმარიტად, მან ისწავლა ჯადოქრობის რაღაც ნაწილი და რაც უფრო მეტს მიიღებს ადამიანი ამ ცოდნიდან, ის უფრო მეტ ჯადოქრობას სწავლობს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5989